



მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა

პროგრამის სახელწოდება

მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

საბაკალავრო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია გაზარდოს კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა პროფესიონალები - მაღალი სამოქალაქო ცნობიერებითა და მზაობით ლიდერობისთვის.

პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტებს ფართო და საფუძვლიანი განათლება ჰუმანიტარულ (ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში (ფილოსოფია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია). პროგრამა, ასევე, ისახავს მიზნად შექმნას წინაპირობა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები ჩამოყალიბდნენ წარმატებულ ანალიტიკოსებად, ლიდერებად, მმართველებად, კონსულტანტებად. მისცეს სტუდენტებს ცოდნა ეკონომიკის, სამართლის, მართვის და ადმინისტრირების სფეროში.

საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა წამყვანი ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების სოციალურ, პოლიტიკურ და თავისუფალ მეცნიერებათა სკოლებისა და ადგილობრივი გამოცდილებების გათვალისწინებით.

შესაძლო დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება იმუშაოს ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში:

- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები (პროექტების მართვა, კვლევები)
- საკონსულტაციო კომპანიები (ანალიტიკოსები)
- მასმედია (ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა, ექსპერტი)
- კერძო სექტორი (საკუთარი ბიზნესი, პროექტი, კვლევა)
- სახელმწიფო ორგანიზაციები (სამინისტროები, პარლამენტი, საკრებულო, მერია, დეპარტამენტები, დიპლომატიური სამსახური)
- საგანმანათლებლო დაწესებულებები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს თავისუფალ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

დარგობრივი კომპეტენციები

- სოციალური მეცნიერებების ზოგადი პრინციპების, თეორიებისა და მეთოდოლოგიის ცოდნა
- სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუციების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საფუძვლების ცოდნა
- ორგანიზაციების, ბიზნესების, პროექტების, ადამიანური რესურსებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მართვის უნარი
- დებატებში ჩართვის, განსხვავებული აზრის გაგებისა და სოციალური მეცნიერებების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი
- საჯარო დაწესებულებებში შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი
- საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი
- პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკის გაცნობიერების და მდგრადი განვითარების უნარი

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამისათვის გაწერილი სპეციფიკური კომპეტენციები აძლევს სტუდენტებს საშუალებას, მიაღწიონ ცოდნის უნარებისა და ღირებულებების იმ დონეს, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. კერძოდ, კურსდამთავრებულს ექნება:

- სოციალური მეცნიერებების ზოგადი პრინციპების, თეორიებისა და მეთოდოლოგიის ცოდნა
- სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუციების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საფუძვლების ცოდნა
- სოციოლოგიური კვლევის, კულტურების შედარებითი ანალიზის, სხვადასხვა სოციალური სტრატეგიის იდენტიფიკაციის და მათი მოთხოვნილებებისა და აქტივობების განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენის მეთოდების ცოდნა
- ვითარებისა და მის წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისი საინფორმაციო და სხვა ტექნოლოგიური საშუალებების კვალიფიციური გამოიყენების ცოდნა
- პროექტების მართვის თეორიის ცოდნა და გაცნობიერება მისი მყარი კავშირის საჯარო და კერძო სარბიელზე მიმდინარე თითქმის ყოველგვარ საქმიანობასთან
- პროექტების მართვის ხელოვნების ცოდნა – მიზნის ფორმულირება, მიზნის, ეტაპებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოს დაგეგმვა და მართვა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კერძოდ:

- ორგანიზაციების, ბიზნესების, პროექტების, ადამიანური რესურსებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მართვის უნარი
- ორგანიზაციებში და საჯარო დაწესებულებებში შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, განზოგადებას, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. ასევე შეძლებს დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, ექნება: კრიტიკული ანალიზის და თანმიმდევრული ბჭობის უნარი, განსხვავებული აზრის გაგებისა და სოციალური მეცნიერებების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- პარტნიორ ორგანიზაციებთან და დამკვეთებთან კომუნიკაციის უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება:

- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი

ღირებულებები

კურსდამთავრებულს ექნება:

- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი
- საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი
- პროფესიული პასუხისმგებლობის, ეთიკის გაცნობიერების და მდგრადი განვითარების უნარი
- პიროვნების ავტონომიის, არჩევანის თავისუფლების და გამოხატვის თავისუფლების აღიარებისა და დაფასების უნარი

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, “დიდი” წიგნების კრიტიკული წაკითხვა, დებატები, სიმულაციები. აქტიურად გამოიყენება სწავლების სოკრატისეული მეთოდი.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა და სემესტრული გეგმა პროგრამაში მოცემულია დანართის სახით, ხოლო კომპონენტების აღწერა - თანდართულ სილაბუსებში.

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (იხილეთ დანართი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს. პროგრამა, ასევე, უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.